

მე-6 კლასი
ძირითადი დავალებები (100 ქულა)

ართიმეტიკა

- (8 ქულა)** რა მოუვიდა მაკლებს, თუ საკლები 6-ით გაადიდეს და სხვაობა შემცირდა 4-ით?
A. გაიზარდა 10-ით B. შემცირდა 2-ით C. გაიზარდა 8-ით
- (8 ქულა)** თითოეულ ყუთში სამი ბურთი დევს. სულ რამდენი ყუთია, თუ ბურთების რაოდენობა ყუთების რაოდენობაზე 12-ით მეტია?
A. 3 B. 4 C. 6
- (8 ქულა)** რა ციფრით ბოლოვდება 30-ზე ნაკლები ყველა კენტი ნატურალური რიცხვის ჯამი?
A. 0 B. 5 C. 9

შედარება

- (8 ქულა)** რომელია მეტი: $2\frac{3}{4}$ სთ, თუ 165 წთ?
A. თანაბარია B. $2\frac{3}{4}$ სთ C. 165 წთ
- (10 ქულა)** მაღაზიაში 15კგ ბრინჯი 25 ლარად იყიდება, ხოლო 25კგ ფქვილი 60 ლარად. რა უფრო ძვირია, 1კგ ბრინჯი თუ 1კგ ფქვილი?
A. ფქვილი B. ბრინჯი C. თანაბარია
- (10 ქულა)** ისრებიან საათზე, რამდენჯერ სწრაფია წამების მაჩვენებელი ისარი საათის მაჩვენებელ ისარზე?
A. 12-ჯერ B. 60-ჯერ C. 720-ჯერ

ლოგიკა

- (11 ქულა)** დაფაზე დაწერილია ნატურალური რიცხვი. ყოველ სვლაზე ნებადართულია რიცხვში ციფრების გადანაცვლება, ან რიცხვის 2-ზე გამრავლება. ამასთან, ოპერაციები სრულდება მორიგეობით. ქვემოთ ჩამოთვლილი რიცხვებიდან რომელს ვერ მივიღებთ მესამე ოპერაციით?
A. 67 B. 75 C. 83
- (12 ქულა)** ნიკომ უყურა ახალი ფილმის 7 სერიას, სანდრომ __5 სერიას და გიორგიმ __3 სერიას. აღმოჩნდა, რომ არ არსებობს ისეთი სერია, რომელიც ერთ-ერთს მაინც არ უნახავს და ამასთან, არ არსებობს სერია, რომელიც სამივეს აქვს ნახა. სულ მცირე, რამდენი სერიისგან შედგება ფილმი?
A. 10 B. 9 C. 8

რიცხვთა თეორია

- (12 ქულა)** დაფაზე წერია ორნიშნა რიცხვი, რომლის არც ერთი ციფრი ნული არ არის. თეამ დაწერა ორნიშნა რიცხვი, რომელსაც ორჯერ დიდი ციფრები აქვს, ლიზიმ კი დაწერა ორნიშნა რიცხვი, რომელსაც 3-ჯერ პატარა ციფრები აქვს. რას უდრის თეასა და ლიზის დაწერილი რიცხვების ჯამი?
A. 77 B. 88 C. 99
- (13 ქულა)** რამდენი მარტივი გამყოფი არ შეიძლება ჰქონდეს ხუთნიშნა რიცხვს?
A. 5 B. 7 C. 6

ბონუს დავალებები (20 ქულა)

ბონუს ქულა ჯამურ შედეგს დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე ტესტის ძირითად ნაწილში დაკარგავს ქულას.

- კითხვა ფინანსური განათლებიდან: (5 ქულა)** სახლის გვერდით მაღაზიაში ფქვილი 3 ლარი ღირს, ქალაქის გარეუბანში კი 2 ლარი და 10 თეთრი. გარეუბნის მაღაზიამდე მისვლა-მოსვლას 1 ლარი და 60 თეთრი სჭირდება. სულ მცირე, რამდენი კილოგრამი ფქვილისთვის ღირს გარეუბანში წასვლა, 2 ლარი მაინც რომ დაგვეზოგოს?
A. 4კგ B. 3კგ C. 9კგ
- „თიბისის“ კითხვა: (5 ქულა)** ირინას თიბისი ბანკის ანგარიშზე ერიცხება ხელფასი, ყოველთვიურად 500 ლარი. რამდენი ლარი დაუგროვდება მას ამ ანგარიშზე 2 თვის შემდეგ, თუ მან ამ თანხიდან მხოლოდ 200 ლარი დახარჯა?
A. 800 B. 1000 C. 1200
- Cavea-ს კითხვა: (5 ქულა)** კავეას თბილისი მოლის ფილიალში 5 დარბაზია. ჯამში რამდენი ადგილია ამ ფილიალში, თუ საშუალოდ, თითო დარბაზში 156 ადგილია?
A. 730 B. 780 C. 700
- „მაგთის“ კითხვა: (5 ქულა)** თორნიკეს მშობლებმა შეიძინეს მაგთის ტელევიზიისა და ინტერნეტის პაკეტი და საჩუქრად მიიღეს უფასო ზარები მაგთის ნომრებზე ოჯახის წევრებს შორის. სულ რამდენ ზარს განახორციელებენ ოჯახის წევრები, თუ სულ სამნი არიან და თითოეული მათგანი ყველა დანარჩენს თითოჯერ დაურეკავს?
A. 6 B. 3 C. 9

*გაეცი მაგთის ბონუს კითხვას სწორი პასუხი, გახდი მაგთის აკადემიური კლუბის წევრი და მიიღე უფასო სიმ ბარათი, სიგელი, ყოველთვიური 100მზ, 100 SMS და 30 წუთი საჩუქრად.
*გაეცი თიბისის ბონუს კითხვას სწორი პასუხი და აიღე მოსწავლის #1 ბარათი, კინგის დიზაინით, უფასოდ, თიბისი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

ტესტი „ინტელექტი“

ინტელექტის ტესტი არ ამოწმებს შენს ცოდნას, არამედ იმას, თუ როგორ აზროვნებ, რამდენად მიხვედრილი და საზრიანი ხარ. ის შენი ინტელექტუალური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისკენაა მიმართული.

აღმოაჩინე წარმოუდგენლად დიდი შესაძლებლობები - გამოავლინე შენი ინტელექტი! გაიარე შესარჩევი ტური, დააგროვე 4 ქულა ან მეტი და მოიპოვე სეზონის მთავარ ინტელექტუალურ მოვლენაში მონაწილეობის შესაძლებლობა.

22 დეკემბერს შენ ინტელექტის გრანდიოზული ფინალი გელის!

1. მოძებნე ანალოგიური წყვილი: მჩატე:მსუბუქი

ა. იოლი:ადვილი

ბ. რთული:მარტივი

გ. პატარა:მომცრო

2. რომელი პერსონაჟი არ გვხვდება ასტრიდ ლინდგრენის წიგნებში?

ა. პეპი გრძელწინდა

ბ. კარლსონი

გ. წრიპა ბიჭი - გრეგ ჰეფლი


3. პოლუსებიდან თანაბრად დაშორებული წარმოსახვითი ხაზი არის:

ა. გრძედი

ბ. ეკვატორი

გ. ნახევარსფერო

4. რომელია გამოტოვებული ფიგურა?



ა.

ბ.

გ.

5. სპექტაკლი 3-მოქმედებიანია, თითო მოქმედების ხანგრძლივობა 45 წუთია. მოქმედებებს შორის თითო შესვენება 15-წუთიანია. რომელ საათზე დასრულდება სპექტაკლი, თუ ის 19:00 საათზე დაიწყო?

ა. 21:50 საათზე

ბ. 21:45 საათზე

გ. 22:10 საათზე